ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4536874

ნომერი: AR1685236

თარიღი : 03.06.2019

გაცემის თარიღი : 10.06.2019

გაცნობის თარიღი : 10.06.2019

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დასახლება ზემო ვეძისი , N 1;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნოდარ ბაღათურია პ/ნ 01024006154
- თბილისი ად.მიცკევიჩის ქ. N 14 ბ. 14

ნომენკლატურა :

- I კლასი
- პერგოლა
  კორექტირება

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რომელიც ეხება სამსახურის მიერ 22/10/2018წ №4224555 გადაწყვეტილებით შესაბამისი წერილობითი თანხმობით გაცემულ სარეკონსტრუქციო სამუშაოების კორექტირებული ფოტომონტაჟის საფუძველზე ცვლილების შეტანას.

ვინაიდან წარმოდგენილი ფოტომონტაჟის მიხედვით პერგოლის ნაწილის შევსება ხორციელდება შევმინვით 2,3 მ სიმაღლის გასასრიალებელი მინის პანელებით(სლაიდერ სისტემით) ანუ ფაქტიურად ხორციელდება მანსარდის მოწყობა ანუ ხორციელდება სამყოფი ფართის მოწყობა , შესაბამისად აღნიშნული ვერ განიხილება I კლასის რეკონსტრუქციის კუთხით და არ წარმოადგენს I კლასის შენობა-ნაგებობის მშენებლობის სახეობას , რომელიც წარმოებს ნე¬ბართვის მიღების გარეშე,რომლის სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობას ადასტურებს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური და არის ისეთი სახის ცვლილება რაც საჭიროებს მშენებლობის ნებართვის გაცემას არსებული შენობის კლასის გათვალისწინებით.
„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 თებერვლის №13-35 დადგენილებით დამტკიცებული სამსახურის დებულების მე-2 მუხლის ”ა” ქვეპუნქტის თანახმად, სამსახურის მიზანია მის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებთან დაკავშირებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ტერიტორიულ საზღვრებში ერთიანი საჯარო ხელისუფლების განხორციელება. ამავე დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის ”ე” ქვეპუნქტის შესაბამისად, სამსახურს თავის ფუნქციების შეუფერხებელი განხორციელების მიზნით უფლება აქვს განიხილოს შენობა-ნაგებობის ექსტერიერებისა და ინტერიერების პროექტები, მოახდინოს ფერთა შეთანხმება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, „ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება არა აქვს კანონმდებლობის მოთხოვნების საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება“ და შესაბამისად სამსახური ვერ მიიღებს საქართველოს კანონმდებლობის საწინააღმდეგო გადაწყვეტილებას.
სამსახურის უფლებამოსილების გათვალისწინებით ასევე არ იქნა მიზანშეწონილად მიჩნეული წარმოდგენილი სახით ცვლილების განხორციელება შესაბამისად №3256201გადაწყვეტილება რჩება უცვლელი. სარეკონსტრუქციო სამუშაოები შესაძლებელია აწარმოოთ უკვე შეთანხმებული (22/10/2018წ №4224555 გადაწყვეტილება) ფოტომონტაჟის მიხედვით.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჟ. შარტავას 7
ტელ. (+995 32) 272 22 22
ფაქს. (+995 32) 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge